

24 საათი

"24 საათის" ფიქიანი ნომერი

***2424**

პრესომბუდსმენი

A4



ანარქისტებისა და
პოლიციის
შეჯახება ათენში

A7



"ვიტ ჯორჯიამ"
რეზიკონი გადალახა

A13




დათო ბაზისონია

ერთთვიანი საპროტესტო დემონსტრაციების შემდეგ შესაძლებელი გახდა საქართველოს პრეზიდენტსა და არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებს შორის შეხვედრის ორგანიზება. გუშინ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გაავრცელა განცხადება, რომ დღეს, 14:00 საათზე, მიხეილ სააკაშვილი საპროტესტო აქციების ორგანიზატორ ოპოზიციურ ძალებს შეხვდება. პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ ხელისუფლება ყველა პოლიტიკურ ძალასთან ერთობლივი ძალისხმევით შეძლებს ქვეყანაში არსებული პრობლემების დაძლევის. გარკვეულია შეხვედრის ადგილიც - ქვეყნის პირველი პირი პოლიტიკურ ოპოზიციას შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალ შენობაში შეხვდება. გარდა ამისა, დღის განმავლობაში პრეზიდენტი საპარლამენტო უმცირესობასთანაც გამართავს შეხვედრას.

მოლოდინი ერთი თვის თავზე

გუშინ პრეზიდენტის შეთავაზების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ სააკაშვილთან შეხვედრას გამართავენ ალიანსი საქართველოსთვის ლიდერი ირაკლი ალასანია, ეროვნული ფორუმის ლიდერი კახა შარტავა, საქართველოს გზის ლიდერი სალომე ზურაბიშვილი და პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი ლევან გაჩეჩილაძე. ირაკლი ალასანიას თქმით, პრეზიდენტთან შეხვედრა წინაპირობების გარეშე გაიმართება. მან, პარლამენტის შენობის წინ სიტყვით გამოსვლისას, მოლაპარაკებისთვის მზადყოფნა გამოხატა: **მზად ვარ, მოვისმინო, რა წინადადებებს შემოგვთავაზებს პრეზიდენტი. გაირკვევა, რაზე შეიძლება შეთანხმება და რაზე არა.** ალიანსი საქართველოსთვის ლიდერი მიჩნევს, რომ დღევანდელი შეხვედრა მნიშვნელოვანი ნაბიჯია როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის მხრიდან. **ჩვენ კეთილი ნებით მივდივართ პრეზიდენტთან, რათა განვიხილოთ ამ პოლიტიკური კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანის გზები.**

ბაზრძალაბა A2 გვირძა



ბაზრძალაბა გვირძა

ფინალი მაინც მოლაპარაკებებია

გიორგი ასანიშვილი

საქართველოში დღეს არსებული პოლიტიკური კრიზისის მიზეზებსა და მისი დაძლევის გზებზე "24 საათთან" დემოკრატიული პარტიისა და ოპოზიციური საპარლამენტო ფრაქცია "ძლიერი საქართველოს" ლიდერი, ანტიკრიზისული საბჭოს თავმჯდომარე გია თორთლაძე საუბრობს. ოპოზიციის ქმედებებზე იგი ხშირად გაცილებით უფრო მწვავედ რეაგირებს, ვიდრე ხელისუფლება, რაც მის ყოფილ თანაგუნდელებს აფიქრებინებს, რომ თორთლაძე მმართველი გუნდის დაკვეთას ასრულებს. ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში იგი ამ ბრალდებასაც პასუხობს.

- ბატონო გია, თქვენი აზრით, რამ განაპირობა, რომ დღეს საქართველოში უმწვავესი პოლიტიკური კრიზისია?
- დღეს არსებული სახელმწიფოებრივი კრიზისი ბოლო პერიოდში მომხდარმა ორმა მნიშვნელოვანმა მოვლენამ განაპირობა.

ბაზრძალაბა A3 გვირძა



ბაზრძალაბა გვირძა

24 საათი
"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group
ჰენის სადაზღვეო ჯგუფი

სტაბილურობისთვის...
 სიმშვიდისთვის...
 გარანტირებული
 სარგებლისთვის...
 მიენდეთ საბანკო ჯგუფს, რომელსაც
მსოფლიოში მილიონობით მეანობრა
 ენდობა!




ბანკი რესპუბლიკა
 BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსოქოძე ჟანაჩიანი

"გაგმოტანარი" ანატანარი

განხსნანი!



თანხის შეტანა - გატანა ნებისმიერ დროს

გამოტანა ნებისმიერი ბანკომატიდან

10% - მდე სარგებელი

თანხის გატანა ბანკ „რესპუბლიკის“ ფილიალებიდან - უფასო

(822) 92 55 55
www.republic.ge

ექსკავატორები, საბზაო და სამშენებლო ტექნიკა




TEGETA CONSTRUCTION EQUIPMENT
JCB-ს ოფისიალური დილერი საქართველოში



ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.
☎ 24-47-44, ☎ 24-47-44 (1219)

ბარანტია:
 1 წელი, სამუშაო საათების შეზღუდვა

საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის ინიციატივით ცხადდება 2009 წლის სასწავლო - სამაგისტრო პროგრამა!

გრანტი გაიცემა უმაღლესი განათლების მქონე საქართველოს სრულწლოვან მოქალაქეს, რომლის ასაკი არ აღემატება 40 წელს და რომელიც მაგისტრის აკადემიური ხარისხის მიღების მიზნით ჩაირიცხა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

გრანტის მისაღებად დარეგისტრირება შესაძლებელია 2009 წლის 31 მარტიდან ა.წ. 26 ივნისამდე.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ. გვერდი WWW.DRF.ORG.GE ; ტელ: 996 723; 93 28 53.

ბანცხადება კონკურსის შესახებ

სსიპ მოლექულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ბიოლოგიური ძვრადობის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად (1 სამუშაო ერთეული).

მეცნიერ თანამშრომლის კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;

კონკურსთან დაკავშირებული ყველა მოთხოვნა განთავსებულია ინსტიტუტის ვებ-გვერდზე: www.imbbp.org/contest-2009.html და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდზე: www.mes.gov.ge/ საბუთები მიიღება მოლექულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტში. მისამართი: გოთუას ქ. 12, თბილისი. საბუთები წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე ნაბეჭდი სახით და ელექტრონული ფორმით. საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 11 ივნისი 16სთ. კონკურსის შედეგი გამოცხადდება 2009 წლის 17 ივნისს.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: e-mail: info@imbbp.org; chelidze@imbbp.org fax: +99532371733; tel: 371733; 374211; 899588964. პასუხისმგებელი პირი: მეგი ჭელიძე

შპს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

- 1. აუქციონის საგანი:**
 შპს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია (შემდგომში კორპორაცია) აცხადებს აუქციონს გაზის გაყიდვაზე და აუქციონში მონაწილეობის მისაღებად ინვესტორს ყველა დაინტერესებულ პირს.
- 2. სარეალიზაციო ქონების დასახელება:**
 შპს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია პოტენციურ მყიდველს სთავაზობს საქართველოში, ნინოწმინდის საბადოდან მოპოვებულ ბუნებრივ გაზს ჯამში ერთ მილიონი (1 000 000) მ3 მოცულობით.
- 3. მიწოდების პირობები:**
 გაზის მიწოდება განხორციელდება ნინოწმინდის სათაო ნაგებობაზე (სოფელი პატარძელთა) ჩარსებულ საბოლოო პუნქტში, აუქციონში გამარჯვებულთან შესაბამისი გაზის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 დღის განმავლობაში.
- 4. აუქციონში მონაწილეობის პირობები და გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:**
 4.1 აუქციონში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია კორპორაციის საბანკო ანგარიშზე (მითითებულია ქვემოთ) ჩარიცხოს 50 (ორმოცდაათი) ლარი აუქციონში მონაწილეობის ბილეთის შესაძენად.
 4.2 აუქციონის მონაწილეებს შორის ვაჭრობა გაიმართება 1 000 (ათასი) მ3 გაზზე კორპორაციის მიერ წარმოდგენილი საწყისი ფასის (დღგ-ს გარეშე) 230 (ორასოცდაათი) აშშ დოლარის მიმართ სავაჭრო 5 (ხუთი) აშშ დოლარის ბიჯით გაზრდით.
 4.3 აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება აუქციონში მონაწილე, რომელიც 1 000 (ათასი) მ3 გაზის შესაძენად კორპორაციას შესთავაზებს სხვა მონაწილეებთან შედარებით მეტ ფასს.
- 5. განაცხადის წარმოდგენის და აუქციონის ჩატარების ვადები:**
 5.1 აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, კორპორაციაში მონაწილეობის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელი საბუთი, აუქციონის პირობებზე თანხმობა და მე-6 მუხლში მითითებული დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს 2009 წლის 18 მაისის 1500 საათამდე.
 5.2 მსურველებმა განაცხადი აუქციონში მონაწილეობისათვის უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ს/ი 0190, კახეთის გზატკეცილი N21, შპს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია". ტელ: 24 40 40.

- 5.3 აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 18 მაისს 16.00 საათზე, შპს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" ადმინისტრაციულ შენობაში (ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი N21). აუქციონში მონაწილე პირს თან უნდა ჰქონდეს პირადობის დამადასტურებელი საბუთი.
- 6. სხვა დოკუმენტები და ინფორმაცია, რომელიც უნდა წარმოადგინოს პრეტენდენტმა განაცხადთან ერთად:**
 6.1 აუქციონში მონაწილე კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტების (წესდება, რეგისტრაციის მოწმობა) თითო ასლი.
 6.2 ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, რომელიც ადასტურებს პირის უფლებამოსილებას იმოქმედოს აუქციონში მონაწილის სახელით (თუ აუქციონში მონაწილე არ არის საქართველოს რეზიდენტი, მაშინ მინდობილობა დამოწმებული უნდა იყოს აპოსტილით ან ლეგალიზებული მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად). მინდობილობა უნდა მიეთითოს წარმომადგენელი პირის პირადობის მოწმობის ან საპასპორტო მონაცემები. თუ აუქციონში მონაწილე კომპანიის წარმომადგენელს მისი ხელმოწერა უნდა იქნას შესაბამისი ამონაწერი სამწარმოო რეესტრიდან ან სხვა დამადასტურებელი საბუთი.
 6.3 აუქციონში მონაწილეს რეკვიზიტები: დასახელება, საკონტაქტო მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები.
- 7. სახელშეკრულება პირობები:**
 7.1 აუქციონში გამარჯვებულ პირსა და კორპორაციას შორის გაზის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს აუქციონში გამარჯვებული პირის გამოცხადებიდან მაქსიმუმ 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში.
 7.2 გაზის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) საბანკო დღის განმავლობაში აუქციონში გამარჯვებულმა კორპორაციას წინასწარ უნდა გადაუხადოს 300 000 (სამასი ათასი) მ3 გაზის ღირებულება.
 7.3 7.2 პუნქტში მითითებული წინასწარი ანგარიშსწორების მექანიზმის გამოყენების ნაცვლად, აუქციონში გამარჯვებულს, ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) საბანკო დღის განმავლობაში, შეუძლია კორპორაციას წარუდგინოს, კორპორაციისათვის მისაღები საფინანსო ინსტიტუტის მიერ გაცემული, უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტია ან აკრედიტივი არანაკლებ 300 000 (სამასი ათასი) მ3 გაზის ღირებულების თანხაზე. სხენებული საბანკო გარანტიის ან აკრედიტივის მოქმედების ვადა უნდა შეადგენდეს სულ მცირე 4 (ოთხ) თვეს.
 7.4 გაზის მიწოდება დაიწყება მხოლოდ მას შემდეგ რაც აუქცი-

- ონში გამარჯვებული შესარულებს 7.1 ან 7.2 პუნქტებში აღნიშნულ მოთხოვნას.
- 7.5 თუ აუქციონში გამარჯვებული კორპორაციასთან ანგარიშსწორებისათვის აირჩევს 7.2 პუნქტით განსაზღვრულ წინასწარი გადახდის მექანიზმს, მაშინ იგი გაზის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გაფორმების თვის ყოველ მომდევნო საანგარიშო კალენდარული თვის 10 (ათ) რიცხვამდე კორპორაციას უხდის 300 000 (სამასი ათასი) მ3 გაზის საფასურს. ბოლო საანგარიშო კალენდარული თვის 10 რიცხვამდე კი აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია კორპორაციას გადაუხადოს გაზის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით განსაზღვრული მისანოდებელი გაზის სრული მოცულობის (1 მილიონი მ3) შესრულებამდე დარჩენილი გაზის მოცულობის მთლიანი ღირებულება.
- 7.6 საანგარიშო კალენდარული თვის დასრულებიდან მომდევნო 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში გაზის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების მხარეები აფორმებენ კომერციულ აქტს საანგარიშო თვის განმავლობაში მინოდებული გაზის მოცულობაზე.
- 7.7 თუ აუქციონში გამარჯვებული კორპორაციას წარუდგენს 7.3 პუნქტში სხენებულ საბანკო გარანტიას ან აკრედიტივს, მაშინ საანგარიშო თვეში მინოდებული გაზის საფასური კორპორაციისათვის გადახდილი უნდა იქნას 7.6 პუნქტში აღნიშნული კომერციული აქტის შედეგიდან 3 (სამი) საბანკო დღის განმავლობაში.
- 8. სხვა პირობები:**
 8.1 აუქციონის ჩატარების შესახებ წინამდებარე განცხადების პირობებით დაინტერესებულ პირებს ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ასევე კორპორაციის ინტერნეტ გვერდზე - www.gogc.ge.
 8.2 გაზის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების პროექტის გასაცნობად დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ შპს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას", შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი N21. საკონტაქტო პირი - ალექსანდრე აბაიძე ტელ: +995 (32) 244040 (ვაჭართოება - 259) მობ: +995 (91) 198050; ფაქსი: +995 (32) 244041 ელ. ფოსტა: a.abaidze@gogc.ge
კორპორაციის საბანკო რეკვიზიტები:
 მიმღები: შპს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" საიდ. კოდი: 206237491 ბანკის დასახელება: სს საქართველოს ბანკი ბანკის კოდი: 220101502 ანგარიშის ნომერი: 145770000